



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030130548522520

№ 01-508/თ

20 / ოქტომბერი / 2020 წ.

**ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციით COVID-19-ით  
ინფიცირებული პაციენტების სიკვდილობის შემთხვევების სავალდებულო  
შეტყობინების ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-18 მუხლებისა და 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციით COVID-19-ით (შემდგომში - COVID-19) ინფიცირებული პაციენტების სიკვდილობის შემთხვევების მონიტორინგის მიზნით ყველა სტაციონარული სამედიცინო დაწესებულება და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება უზრუნველყოფს COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტების სიკვდილობის შემთხვევების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის (შემდგომ ტექსტსა და დანართებში - სამინისტრო) შეტყობინების დაუყოვნებლივ მიწოდებას.

2. ამ ბრძანების მიზნებისათვის, შეტყობინების დაუყოვნებლივ მიწოდება გულისხმობს:

ა) შემთხვევიდან არაუგვიანეს 1 საათის განმავლობაში სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ცხელ ხაზზე - 1499, შემდეგი სახის სატელეფონო ინფორმაციის მიწოდებას:

ა.ა) გარდაცვლილის სახელი, გვარი, პირადი ნომერი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის ნომერი და მოქალაქეობა);

ა.ბ) ასაკი, დაბადების თარიღი, გარდაცვალების მიზეზი (წინასწარი დიაგნოზი);

ა.გ) გარდაცვალების ადგილი (მ.შ ბინაზე, საკარანტინე სივრცეში, სამედიცინო დაწესებულებაში - დაწესებულების დასახელების მითითებით);

ა.დ) სამედიცინო დაწესებულებაში შესვლის თარიღი;

ა.ე) გარდაცვალების თარიღი;

ა.ვ) შეტყობინების გადაცემაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია.

ბ) შემთხვევის დაფიქსირებიდან 24 საათის განმავლობაში ინფორმაციის წერილობითი სახით დადასტურებას. ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართის (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციით COVID-19-ით ინფიცირებული

პაციენტების სიკვდილობის შემთხვევების წერილობითი შეტყობინების ფორმა) შევსებული ვერსიის სამინისტროს ელექტრონულ ფოსტაზე [lcovid@moh.gov.ge](mailto:lcovid@moh.gov.ge) გადაგზავნით.

გ) სამედიცინო დოკუმენტაციის მიწოდებას შემთხვევის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა: ამ ბრძანებით გათვალისწინებული სამედიცინო საქმიანობის ყველა სამართალსუბიექტი ვალდებულია მიანოდოს სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს (კლინიკური ჯგუფის სამდივნო) სამედიცინო დოკუმენტაციის ასლი დანომრული გვერდებით, ზონარგაყრილი, აკინძული და დამონმებული ბეჭდით პირველ და ბოლო გვერდზე ისე, რომ არ იფარებოდეს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების ამსახველი ჩანაწერები;

დ) თუ პაციენტის გარდაცვალების ფაქტის დაფიქსირებულ დაწესებულებაში პაციენტი გადაყვანილია (განხორციელებულია რეფერალი) სხვა სამედიცინო დაწესებულებიდან, გადმოგზავნას ექვემდებარება ყველა დაწესებულებაში მისი მკურნალობის/მეთვალყურეობის ამსახველი სამედიცინო დოკუმენტაცია. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად:

დ.ა) პაციენტის რეფერალის მიმღები დაწესებულება ვალდებულია, მისი გარდაცვალების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს დაწესებულებას საიდანაც განხორციელდა პაციენტის რეფერალი (ტელეფონით, ელფოსტით, ფოსტით და სხვა საშუალებით) და აღნიშნულის თაობაზე დააფიქსიროს ინფორმაცია პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში (შეტყობინების დრო, სახე და შეტყობინების მიმღები პირის ვინაობა);

დ.ბ) სამედიცინო დაწესებულება საიდანაც განხორციელდა პაციენტის რეფერალი ვალდებულია, გარდაცვალების ფაქტის დადგომის შემთხვევაში, შეტყობინების მიღების შემდეგ, განახორციელოს მასთან არსებული პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციის სამინისტროში გადმოგზავნის ღონისძიებები ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით.

3. ცენტრი უზრუნველყოფს სატელეფონო შეტყობინებით მიღებული ინფორმაციის ყოველდღიურად გაგზავნას ელექტრონულ ფოსტაზე [lcovid@moh.gov.ge](mailto:lcovid@moh.gov.ge), რომლის მართვას ახორციელებს სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული (კლინიკური ჯგუფის სამდივნო).


4. ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული (კლინიკური ჯგუფის სამდივნო) უზრუნველყოფს შერჩეული სამედიცინო დოკუმენტაციის ასლების დამუშავებას ისეთი სახით, რომელიც არ იძლეოდეს პაციენტის ან სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და დაგზავნას შესაბამისი დარგის ექსპერტებთან.

5. დამტკიცდეს თანდართული N1 (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციით COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტების სიკვდილობის შემთხვევების წერილობითი შეტყობინების ფორმა) და N2 (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციით COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტების სიკვდილობის შემთხვევების წერილობითი შეტყობინების ფორმის შევსების წესი) დანართები.

6. დაევალოს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს უზრუნველყოს ამ ბრძანების შესახებ სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერიდან მე-5 დღეს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამგზავნილია  
ელემტრონულად 

ეკატერინე ტიკარაძე